


AVTO MOSIASHVILI







# ავთო მოსიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AVTO MOSIASHVILI



**Avto Mosiashvili** was born in Dusheti. He studied at Dusheti I secondary school. After leaving his school he entered Tbilisi I. Nikoladze Art School majoring in Fine Arts. After graduation of school he continued his studies at Tbilisi State Art Academy. He has been a member of artists' union since 1974 and has been taking part in exhibitions since 1969. He was awarded a gold medal for the picture ,, A Cold Day" in Tokyo in 1986. He was conferred a degree of honoured artist of Georgia in 1990. He was awarded once with the first and three times with second prize on the International Christmas Festival held in Tbilisi. He held his first personal exhibition in Moscow in 1990, which was posted by TV show ,,120 Minutes" and was bought by Yugoslavia.

He exhibited his works in Blue Gallery , which was reported by USA television. The full exposition of paintings was held in Didube Plaza Gallery Exhibition Hall in 2009 . His portrait of an old man was recognized as the best picture and was bought at one of the group expeditions in Bulgaria. He takes part in group exhibitions in: Poland, Lithuania, Latvia, Bulgaria, Moscow,. His work , 21 Years in Tbilisi" is protected in the Tretiakov Gallery and several canvas in East Museum .

His canvas were exhibited in the following countries: France, Norway, Poland, USA, Germany, Japan, Israel, Italy, Greece, England, Malta, Switzerland , Ukraine, Armenia and other countries. Also they are kept in private collections in: Portuguese, Poland, USA, China, Turkey, Georgia, Italy, Norway, Russia, Uzbekistan .
















ეროვნული ბიბლიოთეკა









**ავთო მოსიაშვილი** დაიბადა ქ. დუშეთში. სწავლობდა დუშეთის I საშ. სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ფერწერის განხრით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი აგრძელებს სწავლას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1974 წლიდან არის მხატვართა კავშირის წევრი. გამოფენებში მონაწილეობას იღებს 1969 წლიდან. 1986 წელს ტოკიოში დაჯილდოებული იყო ოქროს მედლით სურათისთვის "ცივი დღე". 1990 წელს მიენიჭა საქ. დამსახურებული მხატვრის წოდება. თბილისში გამართულ საერთაშორისო საშობაო ფესტივალის გამოფენებში დაჯილდოვდა ერთხელ პირველი, სამჯერ მეორე პრემიით. 1990 წელს გაიმართა პირველი პერსონალური გამოფენა ქ. მოსკოვში, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა სატელევიზიო გადაცემაში 120 წთ. და შეძენილი იქნა იუგოსლავიის მიერ. 2004 წელს გამოიფინა მისი ნამუშევრები ცისფერ გალერეაში, რომელიც გაშუქებული იქნა აშშ-ს ტელევიზიის მიერ. 2009 წელს გაიმართა სრული ნამუშევრების ექსპოზიცია "დიდუბე პლაზას" გალერეა "დი-არტის"საგამოფენო დარბაზში. ერთ-ერთ ჯგუფურ გამოფენაზე მისი მოხუცის პორტრეტი აღიარებული იქნა საუკეთესოდ და შეძენილი იქნა ბულგარეთის მიერ. იგი მონაწილეობას იღებს ჯგუფურ გამოფენებში: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ბულგარეთი, მოსკოვი. მისი ნამუშევარი "21 წელი თბილისში"დაცულია ტრეტიაკოვის გალერეაში და რამდენიმე ტილო აღმოსავლეთის მუზეუმში.

მისი ტილოები გამოფენილი იქნა შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი, ნორვეგია, პოლონეთი, აშშ, გერმანია, იაპონია, ისრაელი, იტალია, საბერძნეთი, ინგლისი, მალტა, შვეიცარია, უკრაინა, სომხეთი და სხვა.

მისი ნამუშევრები აგრეთვე ინახება კერძო კოლექციებში: პორტუგალია, პოლონეთი, აშშ, ჩინეთი, თურქეთი, იტალია, საქართველო, ნორვეგია, რუსეთი, უზბეკეთი.